

# ბრძოლა

№ 51

ბრძოლის ფასი 40 კაპ.

**გაზეთის ფასი:**  
ერთი თვით 9 მან., ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ.

**განცხადების ფასი:**  
პირველ გვერდზე ჰეტოტი სტრიქონი 1 მან., მეოთხეზე 80 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი მისამართით უნდა გამოგზავნონ: Тифлис, Контора газ. „Шрома“, Баронская ул., № 16. სხვა მისამართით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადი მოლაპარაკება შეიძლება დილის 10-11 საათამდე.

ხელმოწერილი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს.

რედაქციის მისამართი: Тифлис, Редакция газ. „Шрома“, Баронская ул. № 16.

ორგანო საქართველოში მძიმედ სოც.-რევ. პარ. ცენტრალურ კომიტეტისა

## ვიილეგა ხელის მოწერა

### ყოველ-ღიუს გაზეთ

# „ბრძოლა“-ზე

მისამართი: თბილისი, ბარონის ქუჩა № 16 «ბრძოლის» კანტონა

## ქ. ზუგდილი

(10) ნოემბერს ახალი სტ დნიშულია სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ზუგდილის სამხრო

# ყრილობა.

გასარჩევია საპიტხვანი:

1. სჯერობა არჩევნები,
2. სიბრძნის შედგენა.
3. მომენტი და სხვ.

წველი სოფლის ორგანიზაცია გზავნის ორ-ორ წარმომადგენელს. ყრილობა გაიხსნება ზუგდილის უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებლის შენობაში.

ს. ო. ზ. ზუგდიდის მხარის კომიტეტი.

## ქიმი ი. კ. აბაკელია

შინაგანი ავადმყოფობა.

საკუთრებით ავადმყოფობანი გულ-სისხლძარღვოვანი, ფილტვებისა, სასუნთქისა, ღებების აპქისა, გულისა და ჯირკვლებისა.

საქონობა (დიავნოზი) და წამლობა

საკუთრებით ავადმყოფობანი გულ-სისხლძარღვოვანი, ფილტვებისა, სასუნთქისა, ღებების აპქისა, გულისა და ჯირკვლებისა.

საქონობა (დიავნოზი) და წამლობა

საკუთრებით ავადმყოფობანი გულ-სისხლძარღვოვანი, ფილტვებისა, სასუნთქისა, ღებების აპქისა, გულისა და ჯირკვლებისა.

საქონობა (დიავნოზი) და წამლობა

საკუთრებით ავადმყოფობანი გულ-სისხლძარღვოვანი, ფილტვებისა, სასუნთქისა, ღებების აპქისა, გულისა და ჯირკვლებისა.

## პ რ მ ს ა.

გერმანიის საზავო წინადადებაზე ვილსონმა პასუხი გასცა, მარა მისი კილო და პირობები ქლიერ საექციოთ ხდის, რომ პასზე გერმანია დათანხმდება. ამ საკითხს ეხება გაზ. „სახალხო საქმე“ და სწერს:

ჩვენ ვფიქრობთ ვილსონს გერმანია გასცემს დაჰაკაყოფილებელ პასუხს. ქვეყანა, რომელიც დაადგა ლიბერალიზმის გზას, დღეს ვერ წავა იმ დეკლარაციის წინააღმდეგ, რომელიც ავანსად უკვე გასცა გერმანიამ. გერმანული ტრადიცია, თვითმართველობა გერმანულ სახელმწიფოების, ფედერალიზმის პრინციპი, რომელიც სახელმწიფოებრივ მექანიკაშია გატარებული, ყოველივე ეს იმას გვიმტკიცებს, რომ სახელმწიფოებრივ უფლებების აზრი უდავოდ იქნება გერმანიაში დაჰანარად ესოდენ სასურველი მსოფლიოს საზავო მოლაპარაკებისა—გაიხსნება.

ერთი სიტყვით გერმანია ვილსონის პასუხით დაჰაკაყოფილებდა. „სახალხო“ დიპლომატებმა, ალბათ ზედმიწევნით იციან გერმანიის მდგომარეობა, რომ ასე კატეგორიულად მსჯელობენ

გაზეთი „გრუზია“ ბელადურ განწყობილებაშია. ის სწერს: „გერმანია ვილსონის ქარგარამს ღებულობს. ის ადადგენს ბელგიას, ხელს უწყობს ყოველ დამოუკიდებლობას, და ავტონომიას, თუ ამით ვინმე თხოულობდა, აძლევს საფრანგეთის სადაო ოლქებს, განა ეს ასე დიდი რამ არის იმ დიად მიზნების წინაშე, რომლებიც დღეს ყოველი ერის წინაშე იხმება? გერმანიას თავისი იმედი აქვს“

გერმანიას შეუძლია მიიღოს ვილსონის პროგრამა?

შემდეგ „გრუზია“ აღმავებს „თავის ინტუიციას“ და დაასკვნის: „გერმანია საოცარ დიპლომატიურ ნაბიჯს სდგამს. ის აძლევს ინგლისს ბოლომდე გამოსთქვას თავისი აზრი. თავისი ხელმძღვანელთა გენიალური აზრით გერმანიამ უკვე განსჯერტა ადამიანთა ახალი მოწყობის აუცილებელი და ახლო პირობონტები. როგორც ბისმარკი სქედადედა კრუპის გუშინდელ გერმანიას, ისე დღევანდელი მოწინავე სახელმწიფოებრივი მოღვაწენი უკვე სქედადევენ ახალ გერმანიას, იმპერატორი ვილჰელმი კი გამპირაბი თვალთ იხედება სულ წინ წინ“

ახე გულთმისანი ქ. თუმანოვის გაზეთი: როდესაც ვინმე სულ უკან უკან ახევის, მას ეს სულ „წინ წინ“ გონია!

ლება თვითონ ჩადგენ მართვა გამგეობის სათავეში, დღევანდელი გერმანია პარლამენტარული მონარქია არის.

რა თქმა უნდა ეს აღამაღლებს მთელი ხალხის სულის განწყობილებას მტრის საწინააღმდეგოთ, თუ მშვიდობიანობა არ ჩამოვარდა და ზავი ვერ შეკრეს.

თუ ზავის შეკრა ვერ მოხერხდა, ადვილი შესაძლებელია ოსმალეთი ინგლისისაკენ გადაიხაროს, კავშირი შეკრას მასთან და გუშინდელი მოსისხლე მტერს გულითადი მეგობრად გაუზღვს. ოქროს და მახვილს ყველაფერი შეუძლია. მაშინ ხომ ინგლისი თავისი უზარმაზარ ხომალდებით, დრენდოუტებით, შავ ზღვაში შემოიჭრება და „ვაი ძლეულთა“, და ძლეულნი იქნებიან ისინი, ვინც დღეს გერმანიის მომხრეობას ეწევა, გერმანიის ორიენტაციას ემხრობა. ეგეთი მწუხარების ჰანგი უკვე ისმის ჩვენს პრესაში. ოსმალეთს, თუ იმან თავის მოკავშირეებს უღალატა და ინგლისს მიემხრო, ამ ღალატისათვის ინგლისი ვერც ეგვობტეს, ვერც მესობატამის ვერ მისცემს და შეიძლება უფრო ადვილად დაუთმოს საქართველო და სომხეთიო.

ეს რომ მოხდეს საქართველოს ბედ თითქმის სამუდამოდ გადაჭრული იქნება, ეს იქნება უკანასკნელი ფურცელი ჩვენის ისტორიისა. ხოლო ამ საუბედურო მოლოდინს, ვფიქრობთ, საფუძველი არ უნდა ჰქონდეს.

მთელმა განათლებულმა კაცობრიობამ და სხვათა შორის ინგლისმა კარგად იცის, თუ რას განიცდიდა საქრისტიანო ქვეყნები ოსმალეთის მფლობელობის ქვეშ. მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ ინგლისის მუდმივი თანაგრძნობა დამონებულ ერებისადმი არ იყო გულწრფელი. ჩვენ გვგონია რომ ის დიდი ძალა, რომელსაც საზოგადოებრივი სინდისი ეწოდება ინგლისის დიპლომატას არ მისცემს ნებას, რომ ეს ცოლვა ჩაიდინოს და საქრისტიანო ქვეყნები საქართველო და სომხეთი ოსმალეთს ჩაუგდოს ხელში.

O sancta simpli citas!..

გაზეთ ერთობაში ვინმე „რ“ სწერს: „გაზეთ „ბორბაში“ ასეთი ცნობა მოთავსებული: „21 სექტემბრიდან თფილისის სადგურზე დაიწყო მოსვლა სურსათის სამინისტროს სახელზე მარლით დატვითულმა ვაგონებმა. 28 სექტემბრამდე მოგროვდა 68 ვაგონი. ორ ოქტომბრისთვის ეს რიცხვი ავიდა 90-დე. მიუხედავად ყოველდღიურ გახსენებისა, სამინისტრომ მარლი არ გადმოტვირთა“.

ბოლოს, რადგან გაზეთი უწყებას ვეღარ შეუნახავს დატვირთული ვაგონები, თვით მოუხდენია განკარგულება მათი გადმოტვირთვისათვის დიდუბის საწყობებში.

ბებში. კიდევ მოდის ახალი ვაგონები მარლით და მათაც აქვე გადმოტვირთვენ.

ჩვენ ამ ვარემოებას არ მივაქცევდით ყურადღებას, მაგრამ ერთი რომ ამ ქაშათ დიდი საქროება ყველგან ვაგონების. უვავონობის გამო პური, რომელიც ფოთშია მოტანილი, თფილისამდე ვეღარ ჩამოვციტანია. მეორე მხრით ვაგონებში მარლის შენახვა, როცა ქალაქებში მარლი არც ისე ბევრია, მიზანშეწონილ მოქმედებათ ვერ ჩაითვლება.

როცა სპეკულიანტები აჩერებენ გაძვირების მიზნით საქონელს, ეს გასაკვირი არაა, მაგრამ როცა სამინისტრო, რომელსაც მარლის გაიფება სურს, ვაგონებში აჩერებს მას, ჩვენ ვეღარ გავგვიტა: უმოქმედობას აქვს ადგილი თუ გაუგებრობას? მით უმეტეს გვაკვირვებს, როცა გზათა უწყება სთხოვს და ემუდარება სასურსათო უწყებას: რამდენადაც ვიცით, დღემდე ორივე უწყებას ერთი პირი უდგას სათავეში. ბოლოს და ბოლოს თავის თავს ხომ არ ებრძვის პატივცემული მინისტრი?

აქამდე ივიცოდით, რომ ქშირათ ერთი სამინისტრო ედავებოდა მეორეს. ეს საუწყებათაშორისო დავა იყო. მარა ერთი მინისტრი, რომ თავის თავს ებრძოდეს და საქმის მოგვარება ვერ მოეხერხებოდა, ეს ჩვენთვის პირველი შემთხვევაა. ჩვენ ველოთ, რას იტყვის სამინისტრო ამ საგანზე. საზოგადოებისთვის საყურადღებოა ასეთ ფაქტების გარკვევა, საყურადღებოა ჩვენთვისაც“.

ბ. რ.— მისამართი შეშლია. გაზეთი და სასურსათო უწყებებს დღეს სათავეში უდგას პრა ერთი პირი, არამედ სულ სხვადასხვა პირები. სასურსათო უწყება დღეს სავესებით დამოუკიდებელ ორგანიზაციას წარმოადგენს. თუ ეს არ იცის ბ. რ.—მ, ერთობამ კი უნდა იცოდეს ყველა ეს. ერთობა მინც უშენიშვნოთ ათავსებს ასეთ „შეკითხვას“, ალბათ, „ტაქტიკური მოსაზრებით“, არა?!

## ახალი ავბავი.

გზათა მიმსხვდის სამინისტროს რწმუნებულმა ინე. ტოლსტოროვამ, რომელსაც დავალებული აქვს ადერბეიჯანთან საქონლის ვაცლა-გამოცვლის მოწყობა, გაზეთი მიმოსვლის სამინისტროს ატყობინებს, რომ ბაქოში ადგილობრივი ნავთი ეღირება 5 მანეთი ფული, საბაჟო გადასახადი 3 მ. ფუთზე, გადაზიდვა დაჯდება 2 მ. 60 კ. დაწმენილი ნავთი ეღირება ბაქოში 7 მან., საბაჟო გადასახადი 5 მან. გადაზიდვა 2 მ. 60 კ. ანაირათ დაწმენილი ნავთი საქართველოს დაუჯდება ფუთი 14 მ. და 60 კაპ., ხოლო დაუწმენდავი 10 მან. და 60 კაპ.



კრება. ოთხშაბათს, საღამოს 5 საათზე, სასოფლო-სამეურნეო დარბაზში შესდგება ქართულ-გერმანული საზოგადოების კრება.

სამხედრო მინისტრმა წინადადება მისცა თბ. მაზრის სამხედრო უფროსს მისცეს ტყვეებს თავშესაფარი და ასაზრდოვოს ისინი ჯარის ნაწილებში გაგზავნამდე, თუ ისინი ჯარში გასაწვევი არიან. ვინც ამ დროს გადაცილებულია და ამასთანავე სხვა სახელმწიფოს ქვეშევრდომნი გაგზავნილი იქნებიან თავიანთ სამშობლოში. ტანთსაცმელი მიეცემათ მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის ქვეშევრდომთ.

სამტრედიის ქაჯაქის მოურავი პაპავა სთხოვს გზათა მინისტრს, რომ სამტრედია-ფოთამდე რიონზე ნაონობის მოპყვობ კომისიაში სასურველია შედიოდეს ჩვენი წარმომადგენლებიცო.

სასჯელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნის მეტყველების ფაქულტეტზე მეცადინეობა უკვე დაიწყო. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, რათა მიეცეს ხსენებულ საზოგადოებას სახლი და გადაიდოს აუცილებელ ხარჯების დასაფარავად 50 ათასი მანეთი

12 ოქტომბერს მილიციამ შეიპყრო საეჭვო ეტლი, რომელსაც მპიქონდა სახანო საცვლები 20 ათასი მან. ღირებული, კომისარმა შეიპყრო ოფიცერი ჯაჯანოვი და წერეთელი, რომელთაც ბრალდებათ ეს ქურდობა.

დღეს, კვირას საღამოს 5 საათზე სასახლეში სოც-დემოკრატიულ ფრაქციის ოთახში დანიშნულია კრება ბბ. ოფიცრებისა სხვა და სხვა საკითხების გასარჩევად. კრებამ დასასწრობად სავალდებულოა ოფიცრებმა წარმოადგინონ სოც. რევ., სოც. დემ. და სოც. ფედ. პარტიების მანდატები.

**ჭუთაისის ამაზები.**

ტერანტონოვის დაპატიმრება. სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ტერანტონოვი, ყოფილი ქუთაისის პოლიცემისტერი.

სასტუმრო „ფრანკიაში“ სცხოვრობს ორი ოფიცერი, როგორც კერძო ცნობებით აუწყებს სისხლის სამართლის მილიციას, ისინი აქ ყოფილან პროვოკაციისათვის ჩამოსული მილიციამ. ისინი დააპატიმრა, თურმე ისინი გამოგზავნილი ყოფილან ბარკოსიდან ჩაის და ყუვის საყიდლათ. ისინი არიან ლიში-სკი და ალექსევი.

საეროში ყრილობა. საგუბერნიო საეროში ყრილობაზე 45 ხმოსნიდან მხოლოდ 29 გამოცხადდნ არჩევნები გამგეობისა არ მომხდარა და მოხდება დღეს საღამოს 6 საათზე.

სისხლის სამართლის მილიცია გადავიდა ახალ ბინაზე, ბაღის ბორღაში ყოფილ სასტუმრო „როსტოვის“ შენობაში.

ხოლერა. ხოლერამ ქალაქში იკლო უკანასკნელ დღეებში ასეთ ავამტყოფთა რიცხვმა შესამჩნევად შემცირდა.

საკანცელარიო ხარჯები. ქალაქის მილიციის უფროსმა შუამდგომლობა აღძრა ქალაქის გამგეობის წინაშე, რომ ის თანხა, რომელიც მას ეძლევა საკანცელარიო ხარჯებისათვის, მკირვა და ითხოვს შედგეს. ქალაქის გამგეობამ დაადგინა: ამერიიდან ყოველივე საქირო წიგნები მილიციისათვის თვით ქალაქის გამგეობამ დაბეჭდოს.

სახ უნივერსიტეტის გამგეობის კრება. 4 ოქტომბერს შრომის ბირჟის ბინაზე მოხდა სახ. უნივერსიტეტის გამგეობის კრება იქონია მსჯელობა მომავალი მუშაობის შესახებ და დადგინა შემდეგი:

მოეწყოს საღამოს კურსები და აგრეთვე სისტემატიურად ლექციების კითხვა. საერთო მუშაობის შესახებ მოწვეული იქნას ლექტორთა კრება გამგეობასთან ერთად მუშაობის გეგმის შესამუშავებლათ. რადგანაც გამგეობის პრეზიდიუმის წევრები აქ არ იმყოფებიან, ამიტომ კრებამ საჭიროთ დაინახა არჩეული იქნას დროებითი პრეზიდიუმი რომელიც უხელმძღვანელებს გამგეობის მუშაობას. პრეზიდიუმში არჩეული იქნენ შემდეგი პირები: თავმჯდომარეთ ვლ. ქუთათელაძე, მდივანთ ი. წიქორიძე და მოლარეთ მედმარიაშვილი.

დრამ სწავ. გამგეობამ დაადგინა სთხოვოს ქალაქის გამგეობას, იშუამდგომლოს მომარაგების კომიტეტის წინაშე დაუთმონ თეატრის საწყობიდან ზოგიერთი თეატრისათვის საჭირო ნივთები.

სისხლის სამართლის მილიციის უფროსმა დაამატა. იოსებ გლახუას ძე გიგინეიშვილი რომელსაც აღმოაჩნდა ხანჯალი საკუთრებათ მურმანისა, რომლითაც გაეცარცეს ქ. ქუთაისიდან 5 ვერსზე ოსები. გიგინეიშვილი ჩარიცხულია გუბერნიის კომისრის სახელობაზე მურმანის და დანარჩენ ავაზაკების დაქვრამდი რომლებიც დასაქვრად არის მიღებული ზომები. კაკი არეშიძე ქ. ქუთაისის თვითმართველობის ტენიკი, რომელსაც ბრალდება ქალაქის საკუთარი რკინის რელსების გაყიდვა. ვაჭარი ოზბირის ქურჩაზე ანტონი კომეტიანი, რომელსაც უყილია 45 ფუთი შაქარი გატანილი სამხედრო სასურსათო მაღაზიიდან ანდრო ლორთქიფანიძის მიერ.

სოფლებიდან ჩამოსულების გადმოცემით ქარს დიდი ზიანი მიუყენებია ყანებშათვის, ჩალო სულ გაუნადგურებია.

ხონში სიმიდის ფასი ძლიერ დეცა. ფუთი ხუთ თუმნად ფასობს.

კადევ რუსეთის აღმოჩენა. შაბათს 5 ოქტომბერს სისხლის სამართლის მილიციის უფროსმა კიდევ აღმოაჩინა ქალაქის საკუთრება რვა რელსი რომელიც გაუყიდნიათ ამაღლობელისათვის და რაზედაც ოქმი უკვე შედგენილია. ყოველივე პატიოსანი მოქალაქის ზნეობრივი მოვალეობა თვალ ყური ადევნოს ჩვენი ნორჩ რესპუბლიკის ქონებას და მით საშუალება მოუსპონ მცარცველმტაცებელთ.

**დეკეუბაი**

ბერძენი. 11 ოქტომბერი. სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტი. დღეს სამხრეთ-დასავლეთით მოწინააღმდეგე იერიში მოიტანა ტრინკივის სექტორის წინააღმდეგ, სკარპის სამხრეთით. კანადის პოლკები, რომელნიც ცდილობდნენ სეილის აქეთ წამოეწიათ, ჩვენ უკუვადდეთ და დიდი ზარალი მივყენეთ. ბრძოლის ველზე კამპრესა და სენკატენის აღმოსავლეთით მტერს მოქონდა ძლიერი იერიშები ჩვენს ახალ პოზიციების და წინ დატოვებული ჯარის წინააღმდეგ, მაგრამ უშედეგოა. საღამოს ეკმს მტერი იმყოფებოდა დაახლოებებით ნავს-სენ-ვასტის ხაზზე სოლესმა-ლეკატოს დასავლეთით მდლობებზე, სენ-სულე-ვო-ო-ბინი-ფოზნვილის ხაზის დასავლეთით და მდინარე სუაზის დასავლეთ ნაპირზე ორინისა დალაფერის შორის სწარმოებდა ეკრძო იერიშები მტრისა ენზე ბერი-ო-ბეთან. სოკიპსა და არკასთან მისი იერიშები ჩვენ ზოგივერიეთ. სენ-ეტენსა და მდ. ენს შუა ჩვენ დავიხიეთ ზურგის პოზიციებისაკენ, აგრეთვე ვრანდიერის ორსავე მხარეებზე სირის ჩრდილოეთ ნაპირზე. უკან დახვევა სწარმოებდა მიზანშეწონილათ და მტერმაც ვერ შეგვიშალა ხელი. მასის დასავლეთ

ნაპირზე შარპეტრი-რომანის შოსის ორსავე მხრით მტერმა განახლა უშედეგო ძლიერი იერიშები; მასის აღმოსავლეთით ნაპირზე სვერისა და ბომონტის ტყეს შუა ამერიკელები მთელი დღე აწარმოებდნენ იერიშებს დიდი ძალებით. ბრანდენბურგისა და საქსონის პოლკებმა მოწინააღმდეგის ყველა იერიშები უკუვადეს. ამ ბრძოლაში თავი ისახელა ავსტრო-უნგრელთა პოლკმა № 4 თავისი უფროსის ობერ-ლეიტენანტის პოლკის ხელმძღვანელობით.

სექტემბრის განმავლობაში დასავლეთ ფრონტზე მოვსვით 773 მტრის აერობლანი. მათგან საერობლანი ბატარებით ჩამოვადდეთ 124 აერობლანი და 96 საჰაერო ბუშტები. მიუხედავად იმისა, რომ რაოდენობით მოწინააღმდეგეთა ძალები რამდენჯერმე აღემატებოდნენ ჩვენსას, მათ (?) დაკარგეს 107 აერობლანი. ჰაერში წარმატებით წარმოებულმა ბრძოლებმა შესაძლებლად გახადეს მფრინავთა დახმარება მიწაზე მებრსოლთათვის: დღითა და ღამით დაზვერვის საშუალებით, მოწინააღმდეგის ზურგზე თავდასმით, რასაც სამხედრო მნიშვნელობა ქონდა, და აგრეთვე ტყვისმფრქვეველთა ცეცხლით ბრძოლის ველზე, და ბოლოს, ნაღმებისა და ყუმბარების ზევიდან ჩამოვადებით. ამრიგათ მფრინავები ყველგან უწყვედენ დახმარებას ქვეითა ჯარსა და არტილერიას. მიუხედავად იმისა, რომ მტერი დაჟინებით თავს ესხმოდა. ჩვენ დავკარგეთ 103, მტერმა ვერ შესძლო თავგამოდებულ მხვერავებისთვის ხელი შეეშალა მათ წარმატებით მუშაობაში.

სამხრეთ-დასავლეთ ფრონტზე. ახლად მოსული ჯარები ფრანგებთან და სერბიელებთან კონტაქტში იმყოფებიან წაშის სამხრეთით. ბერძენი, 11 ოქტომბერი. საღამოს სამხედრო ცნობა. კამპრეს და სენ-განტენის აღმოსავლეთით და მასის ორსავე ნაპირებზე ჩვენი მოწინავე პოზიციების წინ დამარცხდნ მტრის იერიშები. კამპრეს ჩრდილოეთით ახალი ბრძოლები დაიწყო.

ზაფხვა, 11 ოქტომბერი სამხედრო ცნობა. (თავში აკლია). აღმოსავლეთით ფრანგებმა დაიკავეს სოფლები: ოსოვი, ნეივილი, კორუა-მშოლი, კონტრეფი, სენ-მორელი და საკინი მდ. ენზე განავითარეს მათ თვით წარმატება და მიაღწიეს ბიშუურტის მონტ-სენ-რემის და სენ მარის, ვიზუკრეს სამხრეთ აღმოსავლეთისკენ 3 კილომეტრის სიშორეზე. შემენ-დემთან ფრანგების და იტალიელების ჯარები ბრწყინვალეთ იწვედნენ წინ, მიუხედავად მოწინააღმდეგის მიერ შექმნილ დაბრკოლებისა. მათ დაიკავეს ვანდრესი, ტრუაიანი, კურტე-კრონი, სერნი ლანსუაში. თავის მხრით ფრანგებმა აიღეს: კიუიერი, რუენი, პესის ტყე და მიახწყის ელის მიმართულებით შემენ-დემ-დამს.

მრავალ ალაგას ცეცხლი გაჩნდა, რაც მოწინააღმდეგის გერმანელებს გადაუწყვეტათ, ყველაფერი გაანადგურონ, სანამ უკან დაიხივენ. ტრანს-ჰაიენს: ზრეს პაუფრეს ცნობა. გერმანიის ბრესა არკვეს რა საერთო მდგომარეობას, ხშირათ უბრუნდება ვილსონის სიტყვებს ხალხთა ღივის შესახებ. „ფორვერტი“ ბეჭდავს ვილსონის საერთო ზავის პროგრამის პირობებს და შენიშნავს, რომ ეს პირობები გერმანიის მთავრობამ მიიღო როგორც მოლაპარაკების ბაზისიო. „ამ პროგრამის მოლაპარაკების ბაზისათ მიღებოა, სწერს გაზეთი, —ნიშნავს იქ აღნიშნულ თვისების, როგორც საკუთარის აღიარებას და მოლაპარაკების საშუალებით ცხოვრებაში მის უფრო პრაქტიკულად გატარების ცდას; მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ პროგრამა —საჭიროა გამოსავალ პუნქტათ ვაქციოთ, რომელმაც შეიძ-

ლება სულ სხვა შედეგებამდე მოიყვანოს. თუ მოპირდაპირის მხრივ ამ საკითხის გარშემო რაიმე იქვეებს აქვს ალაგი, მაშინ არ არის მიზეზები იმისათვის, რომ ეს იქვეები გაიფანტოს სრულებით გულწრფელი გზით. „ფორვერტი“ სთხოვს გერმანიის მთავრობას მიიღოს მთლიანად ვილსონის პროგრამა, უკუვადოს ყოველი დიპლომატიური ორბრუნება და ამით დაანახოს ყველას, რომ განახლებული გერმანია მზათ არის სრულიად გულწრფელად მიიღოს მონაწილეობა ქვეყნის აშენებაში.

გერმანიის რადიო-სადგურის ცნობა, 10 ოქტომბრის თარიღით

გავასის ღებუშათა სააგენტო აქვეყნებს წყლის ამღვრვე ცნობას, რომელშიც განმარტავს, რომ სამშვიდობო წინადადება ოფიციალურად პარიზში ჯერ არ მიუღიათ, თუმცა მასზე უარყოფითი პასუხი რომ იქნება, ეს ადვილად შეიძლება წინასწარ დაეასკნათ. როგორც ვიცით, ვილსონმა განმარტა, რომ ზავს კომენსაციებთან და ურთიერთ დამოკებით ვერ მივალწვით, მას მხოლოდ ომით მოვიგოებთ.

აქიდან ნათელია რომ გავასის სააგენტო ნიდავს ამზადებს, რათა ვილსონის საზოა წინადადების საწინააღმდეგო განწყობილება შექმნას რამდენათ შესძლებს ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს.

ჟურნალისტებთან საუბარში, რასაც ადგილი ქონდა ფერდინანდის საკუთარ სასახლეში სამხრეთ ავსტრიაში, ბულგარეთის ყოფილმა მინისტრმა განაცხადა.

„უკანასკნელი ცნობებიდან ნათლად სჩანს, თუ რამდენად ტენდენციონური და ცრუ იყო ხმები უკანასკნელ ამბებში ჩემი როლის შესახებ. ტანისამოსის და სურსათის უქონლობამ, დიდხნის საზოზიციო ომით ბულგარეთის ჯარის დაუძლურებამ და აგრეთვე შინაგანმა პოლიტიკურმა დაბრკოლებამ ნიდაგი მოუშადას ზავისადმი მისწრაფების გაძლიერებას.

**ზავი და იავონი.**

ზავის საქმე კვლავ ბურუსითაა მოცული თუმცა გერმანია ავსტრო-უნგრეთის ნოტაზე შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ვილსონმა პასუხი უკვე გასცა, მაგრამ ამ პასუხის კილო და იქ წამოყენებული წინასწარი პირობები საზოა მოლაპარაკების დაწყებისათვის აშკარად ყოფენ იმ გარემოებას, რომ შეთანხმების კოალიციას შექმნილ ხელსაყრელ პირობებში ზავის შეკვრა არ სურს. ამასთანავე არის ერთი გარემოება, რომელიც ჩვენ გვგონია, დიდათ შეუშლის ხელს მოპირდაპირე კოალიციათა შორის შემავრთველად დადგინებას. ეს გარემოება იმდენათ დიდ მნიშვნელოვანია, რომ შეუძლებელია მის საერთო პოლიტიკურ პარიზონტზე განსაკუთრებული ყურადღება არ მიუპყროს.

არა ერთხელ გვსმენია ის მტკიცება, რომ ომის კვანძი აღმოსავლეთში უნდა გაიჭრასო და, ჩვენის აზრით, ეს ღებულება არასოდეს არ ყოფილა ისე მართალი, როგორც დღეს. შეთანხმების სახელმწიფოთა რიცხვი დგას აგრეთვე იპაონიაც-მან კარგი ხანია მოაშორა თვალის დასავლეთ ფრონტს და იქ ორ მებრძოლ კოალიციის ქიდილს. ყველა ამას ის კარგა ხანია პასიურად, მესამე პირის როლში ხვდება. ამასთანავე უნდა გავისხნოთ, რომ ციმბირის ექსპედიციის საკითხმა იპაონისა და შეერთებულ შტატებს შორის ინტერესების შეხლა-შემოხლა გამოიწვია, მაგრამ მაშინ ეს საკითხი ასე თუ ისე მოგვარებულ იქნა და ხიდი მათ შორის ფორმალურათ არ ჩატებია.

ამის შემდეგ ბევრმა წყალობა ჩაიბრა. შეერთებული შტატები გვდაწყვეტდნ დროს უფრო აქტიურად მოელოდა ომის დასრულებას, ვიდრე იმისთვის, თითქმის დირიჟორობა, კი გადავიდა ამ უკანასკნელ დროის ხელში. აი ასეთ იმპერიული ტურ ციება-ციხლების დროს შეერთებულმა შტატებმა, დროებით, სკითხვის ცენტრი დასავლეთის ფრონტზე გადაიტანა. ხოლო აღმოსავლეთში მდგომარეობის ბატონად იპაონია დარჩა, დროებით მანც და მას დასავლეთი ფრონტის ბედი ნაკლებათ აინტერესებს. გაზეთებმა გადამგვეცეს, რომ აღმოსავლეთში იპაონის საქმეს არხივად აქაბარაკვს მას გვემაც კი შეუშუშავებია ციმბირის საუკეთესო ნაწილის ოკუპაციისა, ხოლო გერმანია-ავსტრო-უნგრეთის საზოა წინადადების ის სრული სიჩუმიტ შენდება. და ჩვენ გვგონია, ვი თუ ეს სიჩუმიტ ქვეა-ქუხლის წინ სიჩუმეს ნიშნავს.

„ციხე შეგინდნავატყდება“, ნათქვამია. და შეიძლება ეს ანდაზა სწორედ ზედ გამოტყობილ გამოდგეს შეთანხმების სახელმწიფოთა მიმართ რადგანაც მათ შორის „გათიშვი ფაშო“ კვლავ პირველ ალაგს იტყვებს. ასეთ დასკვნას ჩვენ მით უფრო ადვილათ გავაყეთებთ, თუ ლოლიკურათ განვივითარებთ იმ პირობებს, რომელნიც ამერიკამ გერმანიას წამოუყენა და უფრო კი 8 იანვრის პუნქტებს, რომელნიც საბრლოდ უნდა დაედგინა მომავალ საზოა მოლაპარაკებას. ჩვენ ვიცით, რომ 8 იანვრის 14 პუნქტში გარკვევით არის ლაპარაკი რუსეთის აღდგენის შესახებ. აგრეთვე ვილსონის პასუხშიც ნათქვამია, რომ გერმანიის კოალიციამ უნდა დასცლოს მოპირდაპირის ტერიტორიაო. კითხვა ისმება თუ ეს წინადადება შეეხება ყველას იმათაც, ვინც უფრო ადრე გამოვიდა ომის ფარგლებიდან, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ყველაფერი ეს ბევრად შეუშლის ხელს იპაონის გეგმების განხორციელებას. ყოველ შემთხვევაში აღმოსავლეთში გერმანიის კვანძის გახსნის ან გაჭირსაკითხი კვლავ დღის წესრიგში იქნება. ამედა.

**საქართველოს პარლამენტი.**

(11 ოქტომბრის სხდომა)

კრება იხსნება დღის 12 ს. დ 30 წ. თავმჯდომარე ნ. ჩხიძე მდივანი აბაკელია კითხულობს დღის წესრიგს, რის შემდეგ პარლამენტი გადადის მორიგ საკითხებზე განხილვაზე. უკანათათ დამტკიცებული იქნა კანონები საკოალიციაციო განყოფილებისა და 10 მილიონიან ფონდის შესახებ. განსახილველია საკითხი სახელმწიფო ენის შესახებ ეროვნებათა უმცირესობების წარმომადგენელთა ენის შესახებ პარლამენტში.

თავმჯდომარე: სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრი არ. ჯაჯანაშვილს.

თავმჯდომარე: (ს. ფ. მომხსენებელი) ბატ. პარლამენტის საქართველოს წევრნი! თქვენ იხებეთ და ამასწინეთ მიიღეთ კანონი სახელმწიფო ენის შესახებ. თანახმად ამ დღესნილებისა საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო ენათ აღიარებულ იქნა ქართული ენა. თქვენ მიუძღებულ კანონში ქართული ენის სახელმწიფოებრიობა არის გარკვეულად და ნათლად ნათქვამი. ის ნათლადა გარკვეული, რომ საქართველოს პარლამენტში საქმიწარმოება უნდა იყოს ქართულ ენაზე მხოლოდ პარლამენტმა აღიარა ენათი რამ, სახელდობრის, რომ გროვნებათა უმცირესობების წარმომადგენლებსათუ მათ სახელმწიფო ენა არ იცინა, უფლება აქვთ წარმოებულ იქნას სიტყვა სამშობლო ენაზე. მცხადი და უკვე დადასტურებული ამგვართა გადაეცა ის სარეგლამენტ კომისიას, მას არ ქონდა უფლები კანონი შეეცვალა, გადაეცინა მისთვის და მით დაურღვია კანონის და დაზრი და მთლიანობა. არ ქონდ უფლება ისეთი რამე შეეტანა კანონში, რომელიც კანონის წინააღმდეგი იქნებოდა. სარეგლამენტ კომისიამ შეიმუშავა ერთგვარი წესები ამის შესახებ. მაგრამ აქ იხებულეული ვარ განვაცხადო, რომ სარეგლამენტო კომისიის უმცირესობა არ დაეთანხმა კომისიის უმრავლესობას და ახალი კანონი შეიმუშავებულ იქნა მთლიანად, ბატონ







ზოგადობის გაზრდა აცხადებს პროტესტს ქ. თფილისის ებრაელთა სამრევლო კომიტეტის მოქმედების წინააღმდეგ. სახელდობრ რომ, ეს კომიტეტი, როგორც ადგილობრივი დაწესებულება, უნდა მოქმედებდეს მხოლოდ თავის კომპეტენციის საზღვრებში, მაგრამ ეს შემოსენებელი კომიტეტი, ზოგიერთ საკითხების გადაჭრის დროს, რომელიც ეხებოდა ქართველი ებრაელების ცხოვრებას, გამოდის როგორც მთელი ებრაელთა ეროვნული ორგანო და განზრახ გადადის მისი უფლების წრიდან. წარსულმა დღეებგათა არჩევნებმა სრულიად კრუსეთის ებრაელთა ყრილობის, რომელიც არ შესდგა პოლიტიკურ მდგომარეობის გართულების გამო, უკვე გვჩვენებს რომ 90 პროცენტმა მთელ ქართველ ებრაელებსამ მისცა ხმა ჩვენ საზოგადოების სიას № 9. ამიტომაც თფილისის ებრაელთა სამრევლო კომიტეტს შეშვენიერდა უფრო ფართოდ მოპყრობა საერთო ებრაელთა საკითხებისადმი და უფრო შემოკლებულ მასშტაბით მოქმედება, განესაზღვრა რა თავის მოქმედების რაიონი თფილისით.

ვაცხადებთ რა პროტესტს თფილისის ებრაელთა სამრევლო კომიტეტის მოქმედების წინააღმდეგ, ავუღათ ისრაელთა საზოგადოების გამგეობა თავის მხრით იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას მათ მიერ მოწვეულ ებრაელთა ყრილობისა თფილისში.

გუდათ ისრაელთა საზოგადოება ქართველ ებრაელთა სახელით გულწრფელად მიულოცავს საქართველოს პარლამენტის დადგენილებას, რომლითაც ქართველ ებრაელებს ეძლევა საქართველოს პარლამენტში ორი ადგილი, რომლებსაც სულ ახლო მომავალში დიკავებენ ჩვენი წარმომადგენელი, ამიტომ ვთხოვთ საქართველოს პარლამენტს არავითარ ფორმაში არ გადასცეს ქართველ ებრაელთა ადგილები იმ დღეებგათა, რომლებსაც წამოაყენებს ის ვითომდა ეროვნული ყრილობა, რომელსაც იწვევს თფილისის ებრაელთა ეროვნული საბჭო, მით უმეტეს, რომ რამდენათაც ჩვენ ვიცით ასეთი საბჭოები ქართველ ებრაელებში სრულიად არ არსებობენ.

გამგეობის თემგდომარე მ. ფიჩხაძე, მდივანი ი. ციციანაშვილი, სასულიერო მმართველობა: ი. გავულაშვილი, ა. ბუზიაშვილი, ქუთაისის ებრაელების რაბინი: რეუბენ ელუაშვილი, თანაშემწე ქუთაისის რაბინისა: მოშე რიჟინაშვილი. 6 ოქტომბერი, ქ. ქუთაისი.

**შეთქმულება აფხაზეთში.**  
(მთავრობის ოფიციალური ცნობა)  
მთავრობას დიდი ხანია მოსდობდა ცნობები, რა აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრთა ნაწილი და უმთავრესად თავდაზნაურობის წრიდან, დაადგა რა აფხაზეთის სახალხო საბჭოსა და მთელი სოხუმის ოლქის მცხოვრებთა ინტერესების ღალატის გზას, სცდილობდა აფხაზეთის ხალხის და მთელი სახელმწიფოს საქმეებში მოეხდინა ჩარევა, ჯერ ოსმალთა და შემდეგ ალექსევის ჯარით უკანასკნელ დროში ამ ჯგუფის კანდიერებამ იქამდის მიადწია, რომ ოლქის კომისარის მარლანისა და აფხაზეთის საქმეთა მინისტრის პოლკოვნიკ ჩხატუას მეთაურობით განიზრახეს მოეხდინათ პოლიტიკური გადატრიალება. ამ მიზნით მოახდინეს ადგილობრივ სამხედრო ძალთა, აფხაზეთის ცხენოსან ასეულის და მილიციის მობილიზაცია და შემოერთებენ აფხაზეთის სახალხო საბჭოს და შეიყვანეს შენობაში შეიარაღებული პირები, ხოლო გარეთ ტყვიანობა დაიწყეს მთელი მთავრობის წინააღმდეგ. ასეთ

პირობებში, აფხაზეთის სახალხო საბჭო, მის შემადგენლობაში მყოფ მოლაღატეთა შეიარაღებულ ძალდატანების გამო მოკლებული იყო ს უაღრესად ემოქმედა სამშობლოს საკეთილდღეოდ. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო რა ყველა ეს მხედველობაში და აგრეთვე ის გარემოება, რომ აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრთა არ იყვნენ არჩეულნი იმ წესით, რომელნიც უზრუნველყოფს სუხუმის ოლქის მცხოვრებთა უმრავლესობის ინტერესთა ნამდვილ გამოხატულებას, 10 ოქტომბრს. სხდომაზე დაადგინა: 1, აფხაზეთის სახალხო საბჭოს მის დღევანდელ შემადგენლობით დათხოვნილად ცხადდება, ახალი არჩევნები დაინიშნება ათანხმად საყოველთაო საარჩევნო პრინციპისა. 2, არჩევნების საწარმოებლად ინიშნება ცენტრალური კომისია, რომელიც შედგება: ვარლამ შერვაშიძე, ისიდორე რამიშვილი, ვასილ გურჯია, ექიმი შაშლიძე და გიორგი შანშივეი. ამ კომისიის ეძლევა უფლება თემგდომარის არჩევისა და საჭირო პირთა კოლბატაციით მოწვევისა. დროებით, ახალ საბჭოს არჩევამდე, სოხუმის ოლქის კომისარს ინიშნება ბენია ჩხიკვიშვილი, ქუთაისის საგუბერნიო კომისარი, რომელიც ექვემდებარება სოხუმში ყველა მოქმედი ნაწილები. მისი დანიშნულ ადგილზე მისვლამდე უმაღლესი სამხედრო და სამოქალაქო უფლებით აღჭურვილია სოხუმის რაზმის შტაბის უფროსი თუხარელი. 4, აფხაზეთის სახ. საბჭ. დათხოვნის გამო, აფხაზეთის საქმეთა მინისტრის პოლკოვნიკ ჩხატუას რწმუნებულებმა დასრულებულად ჩაითვალოს და აფხაზეთის საბჭოთა წარმომადგენლობა დაველოს შინაგან საქმეთა მინისტრს.

5. აფხაზეთის სახ. საბჭოს ქონების დაცვა და ახალ საბჭოსადმი მათი გადაცემა მიენდო გზლად დანიშნულ ცენტრალ საარჩევნო კომისიას.

**ამბები. მოსკოვში.**

უკანასკნელ დღეებში მოსკოვში საერთო მდგომარეობა მოულოდნელად გამწვავდა. მთელ რიგ ზომებსაც კონდა ადგილა; მაგალითად: სოციალიზაცია, მოახდინეს განურჩევლად ყველა დიდი სახლების, შეუდგენ ბინებთან ბურჟუაზიის გადასახლებას. ყოველგვარი ჯაშუშობა მეტად გაძლიერდა. იმას გარდა, რომ ბევრადვე გაზრდებში ტერორის მხვერლთა გვარებსა და მდგომარეობას, სრულიად რუსეთის განსაკუთრებულმა კომიტეტმა დაიწყო ცნობების გაცემა იმათ შესახებ ვინც სიკვდილით დასაჯა.

ტრამვაებში და საზოგადო ადგილებში ლაპარაკი თითქმის მუდამ ტერორის გარშემო ტრიალებს, მაგრამ ყველა ეს სწარმოებს მეტად ფრახილად. დაშინებულ, ტერორის ქვეშ მყოფ ხალხს ყოველს მოქალაქეში ჯაშუში და მტერი ელანდება. სამოქალაქო და სამხედრო უწყებათა ყველა დაწესებულებათა მაღალ ხარისხიდან მოხელეთა სულიერი განწყობილება დაცემულია. არავის არ შეუძლია დამშვიდებით ელოდეს ხელინდელ დღეს, და საბჭოთა მოსამსახურეს მისი ოფიციალური მდგომარეობა ვერ უზრუნველყოფს მოულოდნელ ხიფათისაგან.

საბჭოთა გაზეთებში მწელია ფონტის მდგომარეობის სწორი დაფასების პოვნა. საბჭოთა მთავრობის უკანასკნელმა განკარგულებებმა რკინის გზებზე მიმოსვლის შესახებ სრულიად შეუძლებელი მდგომარეობა შექმნა 1 ოქტომბრამდის მოსკოვში საერთოდ ერთი ფუთის ნახევარი სანოვანის

შემოტანის ნება იყო. რკინის გზებზე გაჩადა ნამდვილი „ხალხთა გადასახლება“ სპეკულიაციამ უზარმაზარი სახე მიიღო მოწყობილი გაცვლა-გამოცვლის მაგიერ შეუჩერებლოდ დაიწყო წინ და უკან „მეტომრეცხვა“. წარმოუდგენელი თვითნებობა და ქაოსია გამეფებული. მცხოვრებთა უღარიბეს ნაწილებში უკმაყოფილება უზარმაზარ ხასიათს იღებს ამინებს მათ მხოლოდ მკაცრი სასჯელი.

**დინამიტების გამოსვლა.**

ნეიტრალურ სახელმწიფოთა დინამიტების თათბირი მოხდა; თათბირს დაესწრენ გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის კონსულები. დინამიტებმა ინახულეს ზინოვიოვი და განაცხადეს, რომ მათ არ შეუძლიათ გულგრილთა უყურონ იმ საშინელებათ, რომელსაც ადგილი აქვს და მოითხოვენ ტერორის მოსპობას.

**ტ ე რ ო რ ი.**

არზამასში მთვრალმა წითელგვარდიელებმა ინტელიგენციის „პოგრომი“ მოახდინეს; მოკლულია 300 კაცამდის, მათ შორის ბევრია ქალები და ბავშვები; საუკეთესო მღაზიები გაძარცვულია.

**როსტოვში დასჯა.**

ბრიანსკი ანარქისტი იტყობინება, რომ მრავალ სარაიონო და სამაზრო ტრიბუნალებში შემოღებულია როსტოვში დასჯა სულმცირე დანაშაულობისთვისაც; აგრეთვე საბჭოთა მთავრობის უპატივცემულობისთვის.

**დახვრეტი.**

მოსკოვიდან იტყობინებიან, რომ ვიტებსკში ბოჩკარევის ქალთან ერთად დახვრეტეს 7 კაცი, მათ შორის ბელორუსეთის ცნობილი საზოგადო მოღვაწე გრიგოროვიჩი.

**დ ო ნ ზ ე.**

დონის კანონები.

წრემ მიიღო კომისიის მიერ შემუშავებული ძირითადი კანონი, რომლის პირველი მუხლი ამბობს: 1) „დონის ჯარი“ არის დამოუკიდებელი სახელმწიფო, ხალხის უფლება მოსილების საფუძველზე დამყარებული; 2) „დონის ჯარის“ ფარგლებში უმაღლესი კანონმდებლობითი უფლება „ჯარის წრეს“ ეკუთვნის. უმაღლესი ძალის (აღმასრულებლის) მატარებელი ატამანია. კანონმდებლობითი — განყოფილებათა (ОТДЪИ) მმართველთა საბჭო; 3) უმაღლესი აღმასრულებელი ძალა ეკუთვნის ატამანსა და მმართველთა საბჭოს.

წრეს იწვევს ატამანი ყოველ წლიურათ; მორიგ სესიებს განსაზღვრავს წრე; წრის წევრებს ირჩევენ სამი წლით. წრეს უფლება აქვს: გამოსცვალოს და გააუქმოს კანონი, აირჩიოს ატამანი, განიხილოს და დაამტკიცოს ბიუჯეტი, საკრედიტო ბილიეთების გამოცემის სახანო ვალდებულებათა და სესხის ნება დართოს, გამოაცხადოს ომი, შეკრას ზავი, დაამტკიცოს პოლიტიკური და საეკონომიკური ხელშეკრულებანი, გამოაცხადოს ამნისტია, ჯარში გასაწვევთა კონტინენტი დაწესოს, მისცეს სამართალში წრის წევრი, ატამანი მთავრობისა და უმაღლესი სასამართლოს წევრები. წრის წევრები პასუხისმგებელი არიან მხოლოდ წრის წინაშე.

**ეპანაელთა უფლებრივი თანასწორება დონის.**

ჯარის წრემ ნება დართო ებრაელებს შეიძინონ უძრავი ქონება, მათ შორის ბინაც რუსებთან თანასწორ უფლებებზე ახალმა კანონმა, რომელიც უფლებას აძლევს ებრაელებს გახდენ

მიწათმფლობელებათ დონზე, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყაზახთა მასაზე.

**ძიწების ჩამოართმევა.**

ჯარის წრემ დაადგინა: ჯარის ფონდში ჩაირიცხოს მესაკუთრეთა მიწები; ბოძებული მიწები — უფასო; ნაყიდი — საფასურით. მიწის ფონდი, რომელიც შესდგება ამრიგათ, მოხმარდება კოტა მიწების მქონე ყაზახებისა და იმ გლეხების დაკმაყოფილებას, რომელნიც მონაწილეობას ღებულობდენ ბალშევიკებისაგან დონის დაცვაში.

**რუსეთ-გერმანიის დამატებითი ხელშეკრულების მუხლები.**

გაზ. „ბორბაში“ დაბეჭდილია „ნორდლანდ კაიტუნგის“ დამატებითი დანადგომებული რუსეთ-გერმანიის შორის ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების დამატებითი პუნქტების მეექვსე განყოფილება, რომელიც საქართველოსა და კავკასიას ეხება.

„განყოფილება მეექვსე“ კავკასია. მუხლი 13.

რუსეთი აცხადებს თავის თანხობას, რომ გერმანიამ აღიაროს საქართველოს დამოუკიდებლობა.

მუხლი 14.

საქართველოსა და იმ ოლქებს გარეშე, რომელიც საზავო ხელშეკრულების შესამე პარაგრაფის მეოთხე მუხლში ამოხსენებული, გერმანიის არ დაეხმარება არც ერთ მესამე სახელმწიფოს, რომელსაც, კავკასიაში თუგინდ საომარი გამოსვლა მოუხდეს.

გერმანია გამოვა იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მესამე სახელმწიფო კავკასიაში გადალახავს ქვემო აღნიშნულ საზღვრებს. მდ. მტკვრის სითაიდან პეტროპავლოვსკის მიდამომდე; აქედან შემახის მარხის საზღვარზე აგრიობის მიდამომდე; შემდეგ პირდაპირი ხაზ იმ ადგილამდე სადაც ერთდებიან საზღვრები ბაქოსა, შემახისა და ყუბანის მარხებისა და კიდევ ბაქოს მარხის ჩრდილო საზღვარი — ზღვამდე.

რუსეთი შესაძლებლობის ფარგალში ხელს შეუწყობს ბაქოს რაიონში ნავთის დამუშავებ ასმეთხედ ნაწილს დაუთმობს გერმანიას, მაგრამ საგანგებო დადებულ პირობის ძალით, ყოველ თვე არა ნაკლებ კერძოდ აღნუსხულ ტონისას.

თუ ბაქოს რაიონში დამუშავებული ნავთის რაოდენობა არ იქნება იმდენი, რაც აღნიშნული იქნება ან და სხვა ხაჭორებისათვის დახარჯება, ის რაოდენობა უნდა შევსებულ იქნას სხვა ადგილიდან დამუშავებულ ნავთით.

ფასი ნაანგარიშევი იქნება იმ ნახშირის საფასურის მიხედვით, რომელიც რუსეთმა უნდა მიიღოს მესამე პარაგრაფის მეთორმეტე მუხლის თანახმად, დანარჩენი კი იმ საქონლის ფასის მიხედვით, რომელიც რუსეთმა უნდა მისცეს გერმანიას რუსეთ-გერმანიის საფინანსო შეთანხმების მეორე პარაგრაფის შესამე მუხლის ძალით დღეის რიცხვიდან.

**სომხეთის მინისტრთა კაბ. ნეტის შეცვლა.**

ცნობაა, რომ სომხეთის მთავრობის თემგდომარემ ფ. კაჩანუნში იმის გამო, რომ არსებული მინისტრთა კაბინეტი ვერ შესძლებს განავოს მხარე, ამ დღეებში ოფიციალურად განუცხადა ჰაისტანის პარლამენტის უზუცესთა საბჭოს ფრაქციას, რომ დადგა დრო, როცა კოალიციონური სამინისტრო უნდა შესდგეს, რომელიც სომხეთისთვის კრიტიკულ მდგომარეობაში სასარგებლო საქმეს გააკეთებს.

გარდა ს. რევოლუციონერებისა ყველა ფრაქციებმა: ს. დ. და სახალხო პარტამ შექმნეს ერთი-მეორის თანხმობა, ანალოგიური წინასწარ შეთანხმების მიხედვით ყოველი ფრაქცია 2 ადგილს მიიღებს. სამინისტრო ასე იქნება დანაწილებული. შინაგან საქმეთა, საგარეო, ფინანსთა, განათლების, სასურსათო, ლტოლვილთა და იუსტიციისა, ამავე შეთანხმებით მინისტრთა თემგდომარეთ და შნაკაცკანი უნდა იყოს სამხედრო მინისტრად უპარტიო და უთუოდ სამხედრო პირი.

რომელი პარტია რომელ პოზიციას იღებს ჯერ არ არის გამოჩვენებული, მაგრამ ცხადია ერთი, რომ დაშნაკელებს სურთ საშინაო და საგარეო პოლიტიკა მათ ხელში იყოს სახალხო პარტიასაც ეგვევ სურს; სოციალ-დემოკრატებს კი უნდათ მიიღონ შინაგან საქმეთა და განათლების სამინისტროები. (მშ“).

**მოწოდება.**

მრავალი მტერი ყავს დემოკრატის და ამათ შორის ხალხის უკუღმურობა — უმცრება არის ერთი უსაშინლესთაგანი. მის დაუმარცხებლათ ყოველად შეუძლებელია წინსვლა — განვითარება. ასეა ყველგან და მით უფრო ჩვენში, სადაც დემოკრატია უკუღმართ ისტორიულ პირობების გამო მოკლებული იყო სინათლეს და კულტურას. დადგა დრო, როცა საზოგადოების ფართო წრეებში უნდა სერიოზულად მოეწყოს კულტურულ-განმანათლებელი საქმე.

მიიღო რა მხედველობაში ზემოდ აღნიშნული დებულებანი ერთობის უზნის კომიტეტმა გამოყო კულტურულ-განმანათლებელ კომისია უზანში კულტურულ მუშაობის საწარმოებლად.

მრავალ მხრივი, რთული და ძნელია აღნიშნული საქმე; საჭიროა ლექციების მოწყობა, წერა-კითხვის სკოლის დაარსება მოზრდილთათვის, საკითხველთა მოწყობა, წარმოდგენების მართვა, სინემატოგრაფის მოწყობა და სხ.

ყველა ამისთვის საჭიროა შენობა, რომელიც უზანს არ გააჩნია და რომლის აგება თხოულობს დიდს ხარჯებს.

იმ დაბრკოლებათა შორის, რომელიც ხელს უშლიან აღნიშნულ საქმეთა მოგვარებას, ყველაზე ძლიერი დაბრკოლება — ეს არის ფინანსური უსახსრობა. ამიტომ ერთობის უზნის კ. განმ. კომისია მოუწოდებს ყველა მათ, ვინც დანტრესებულია დემოკრატის კულტურული ამაღლებით, გაუწიოს მას შესაძლებელი ზნეობრივი და მატერიალური დახმარება. კომისია დარწმუნებულია რომ დემოკრატის შეგნებული ნაწილი თანაგზრძობით შეხვდება ამ მოწოდებას.

შემოწირულება მიიღება შემდგმ ადგილებში: 1) ერთობის უზნის უშათა კლუბში; 2) განჩილიაძესთან, 3) ჩერქეზოვილის ქუჩა № 59 ოთხ კალანდაძესთან, 4) სახალხო სახლში მეორე რაიონის ს. დ. მ. ბიუროში.

ერთობას უჩინს კომიტეტთან პუბლიკულად განმანათლებელი კომისია.

P. S. ვთხოვთ სხვა გაზეთებს გადაბეჭდოს ეს მოწოდება.

სარედაქციო კოლეგია. გამოკვეთილი — ცენტრალური კომიტეტი.